



პატივსაცემი
აქცია

დღეს

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 ივლისი ოთხშაბათი 2011
№ 162 (13459) ფასი 80 თეთრი

ოთხი გახარება შაგვენიოს!

ორი ქართული კლუბისთვის ევროსეზონი ორი კვირის წინ დაიწყო – "დინამომ" და "მეტალურგმა" ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გადალახეს. ამ კვირაში კი საქართველოს ერთბაშად ოთხ წარმომადგენელს ევროპაში გაგზავნის პერსპექტივა გაჩნდა. დღეს "ზესტაფონი" ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს ჩემპიონთა ლიგაში სადებიუტო მატჩით დაიცავს, ხვალ კი "დინამოსა" და "მეტალურგს" საქართველოს თასის მფლობელი "გაგრა" შეუერთდება და სამეული ევროპის ლიგის მესამე ეტაპზე გადასასვლელად იბრძოლებს.

ქართულ ფეხბურთში პრობლემებს რა დალევს, მაგრამ ჩვენს წამყვან კლუბებში უკვე დაიწყო სასიკეთო პროცესები გვაიმედებს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე თავს არ შევირცხვებით. ამა თუ იმ ქვეყნის საკლუბო დონის საზომად ხომ ევროპაში უკეთესი საშუალება არ არსებობს. ჰოდა, ვნახოთ, რა შეუძლია ევროდონეზე ოთხ საუკეთესო ქართულ კლუბს. დღევანდელი და ხვალინდელი დღე ქართული ფეხბურთისთვის ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი დღეებია და ღმერთმა ქნას, ჩვენი ოპტიმისტური მოლოდინი გამართლდეს და ოთხივე მატჩის შედეგმა გაგვახაროს.

დიდი იმედი გვაქვს, "ზესტაფონი" დღეს "დაჩიასაც" დაუმტკიცებს, რომ საქართველოს ლირსული ჩემპიონი ჰყავს, ამბიციამომბატებული "დინამო" უელსიდან გამარჯვებული დაგვებრუნდება, "მეტალურგი" ყაზახურ ნავსს გატყეს, "გაგრა" კი სენსაციებს საქართველოში არ დასჯერდება და კვიპროსიდანაც გაგვაოცებს.

ლევან ჯანაზაშვილი



იგორ დობროვოლსკის საქართველო კარგად ახსოვს



დღეს ზესტაფონი საქართველოა!

დავით კობრიძის ფოტოები



2-3



ქაქია ზესტაფონურ გაზონზე

იპყრება ივანე მელიქიძის



პირველი გაგრა

ს ჯგუფი

ჩილე	1	0	პერუ
------	---	---	------

ჩილე: პინტო, პონსე, კარმონა, ხარა, სილვა (78. მიდელი), ფიერო (59. ვალდიოა), ესტრადა, ბოსეფური, ბიმენეხი, პარედესი (59. სანჩესი), სუასო.
 პერუ: ლიბმანი, აკასიეტე (46. ვილჩესი), რევიორედო, კოსო, კარმონა, გევარა (69. ლობატონი), რამოსი, ბალონი, გონსალესი (76. კარილი), ჩიროკე, რუდიასი.
 გოლი: კოსო (90. ს.კ.)

გაძვევები: კარმონა (62), ბოსეფური (62)
ურუგვაი-მმსიპა
 ბათონისას დასრულდა

	თ	ა	ფ	ნ	ბ	ქ
ჩილე	3	2	1	0	4-2	7
პერუ	3	1	1	1	2-2	4
ურუგვაი	2	0	2	0	2-2	2
მმსიპა	2	0	0	2	1-3	0



კოპას სხვა ამბები 8

ქაქია ქოსო



რომილიც სამხაროს შავ-თეთრად არ აღიძვამს

16



ახსოვრი ფაქტებით



კოპა ამერიკა 2011

A ჰკუფი



ლეო მესიმ ორი საგოლე პასი მიითვალა

მარიო კაშკაშა
მარიო კაშკაში

3 გმირი: ბატისტა, რომ მიხვდა, აბუ-რო, რომ გაიტანა და მესი, რომ მესია

არგენტინა 3 0 კოსტა-რიკა
არგენტინა: რომერო, საბალეცა, ბურდისო, გ. მილიტო, დანელი, მასკერანო, გაგო, აგუერო (85. ლავეცი), მესი, დი მარია (80. ბილია), იგუაინი (80. პასტორე).
კოსტა რიკა: მორიერა, აკოსტა, დუარტე, კალვო (46. პრენესი), სალვადორე, მორა, კუბერო, ლუალო, ელისონდო (57. ვალდე), კემბუელი, მარტინესი (46. მადრიგალი).
გოლები: 1:0 აგუერო (45), 2:0 აგუერო (53), 3:0 დი მარია (64)
მატჩის საუკეთესო ფაზა: ლიონელ მესი (არგენტინა)

საყოველთაო მდგომარეობა
ტ მ გ ზ ნ ბ პ
1. კოლუმბია 3 2 1 0 3-0 7
2. არგენტინა 3 1 2 0 4-1 5
3. კოსტა რიკა 3 1 0 2 2-4 3
4. ბოლივია 3 0 1 2 1-5 1

რომში ჩიქან - არგენტინის ნაკრებმა დაახლოებით ისე ითამაშა, როგორც მისგან გულშემატკივრები ელოდნენ. ეს კი სამი კაცის დამსახურება გვეკონია: პირველი სერხიო ბატისტა, რომელიც მიხვდა, რომ სასტარტო შემადგენლობიდან სასწრაფოდ მოსაცილებელი იყვნენ კარლოს ტევესი და ესეკიელ ლავეცი. სერხიო აგუერო და გონსალო იგუაინა გაცილებით მეტი გააკეთეს ერთ მატჩში, ვიდრე ზემოთხსენებულმა - ნინა ოროში. გამოადგა გუნდს ესტუბან კამპიასოს ანხელ დი მარიათი ჩანაცვლებაც. თამაშის წინ, კოსტარიკელთა თავკაცი, არგენტინელი რიკარდო ლა ვოლპე იმედოვნებდა, რომ მისი თანამემამულეები მაინცდამაინც ამ თამაშის წინ არ გამოფხიზლებულიყვნენ. თუმცა არგენტინას, გარდა იმისა, რომ მოგება პაერით სჭირდებოდა, ბატისტას კიდევ

ერთი გამაღიზიანებელი სწორედ ლა ვოლპე იყო, რომელმაც პირველი ტურის შემდეგ გაბედა და თქვა, არგენტინის ნაკრები გუნდი არ არისო. ახლა კოსტარიკელთა თავკაცი ნაინილობრიგ საკუთარ ენაგრძელობასაც უნდა „შამდლოდეს“ 0:3 მარცხს ამ „არაგუნდთან“. პირველი ტაიმის ერთ სტატისტიკურ მონაცემს მოვიყვანოთ, რომელიც ყველა სიტყვაზე მეტყველია - არგენტინელებმა მეტოქის კარისკენ 18-ჯერ დაარტყეს, ხოლო მათმა მეტოქემ - ერთხელ. ამ 18-დან მიზანს ბოლო დარტყმამ მიიღწია - მორიერამ არგენტინელთა დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა კუნ აგუერომ დაამატა და არგენტინის ნაკრებს ზურგიდან ფსიქოლოგიური ტვირთი მოხსნა. მატჩის ქრონიკაში მესი აქამდე არ გვიხსენებია, თუმცა ის იყო არგენტინელთა თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი (მას გვარისადაც ესმარებოდა ფერნანდო გაგო). მეორის დასაწყისში კი „ლა პულგას“ პასით მეკარესთან პირისპირ კუნი გავიდა და მანაც არ გაანბილა კორდობაში შეკრებილი გულშემატკივარი. ამ მომენტამდე არგენტინის ნაკრების ყველა გოლი სერხიო

აგუეროს ანგარიშზე იყო. ამის შემდეგ მესიმ საგოლე პასი დი მარიას გაუკეთა. სხვათა შორის, „მარიო კემპესზე“ ნაკრების მხარდასაჭერად თავად მარიო კემპესიც იყო მისული... ამ ჯგუფიდან კოლუმბია პირველი ადგილით გავიდა პლეი ოფში, არგენტინა - მეორით, კოსტა რიკა კი უნდა დაელოდოს, რა მოხდება სხვა ჯგუფებში. მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი მესიმ მიიღო (არგენტინის სამი მატჩიდან 2-ჯერ მან გაიხარჯა), მან ხმების 36% მიითვალა. „ოლე, ოლე, ოლე მესი“ - გაჰყვიროდა კორდობაში შეკრებილი 57 ათასი ფანი.

ლეო მესი (არგენტინა): „მამდვილი და სულ სხვა კოპა სწორედ ამ ეტაპიდან იწყება. ყველაზე მეტად ჩვენ გვსურს, რომ ვადაამყვეტ ეტაპზე საუკეთესო ვიყოთ. დიდი მადლობა გულშემატკივრებს, ასეთი მხარდაჭერისთვის.“
სერხიო ბატისტა (არგენტინის მწვრთნელი): „ჩვენ სწორედ ეს თამაში გვჭირდებოდა, რომ ფეხბურთელებს თავიდან ერწმუნათ თავიანთი შესაძლებლობების. დღეს ვიყოჩაღეთ, ნინა ორი მატჩისგან განსხვავებით. მესი ნამდვილი მარგალიტი იყო, მოკლედ, ყველაფერი ისე იყო, ჩვენ რომ გვსურდა.“
რიკარდო ლა ვოლპე (კოსტა რიკის მწვრთნელი): „არგენტინას ბურთი ვერ წავართვით, ვერც ტოლ-სწორად ვეთამაშეთ, მხოლოდ თავს ვიცავდით. შესვენებებზე ფეხბურთელებს ვუთხარი, ბიჭებო, თუ ბურთს ვერ შეინარჩუნებთ, „ბაი ბაი“ უთხარით ტურნირს. ჩათვალეთ, რომ თქვენ მოგკლეს.“
გვირდი მოაზარაზ ნიკოლოზ ნაშარიძე

სტატისტიკა
მარიო კაშკაში
მარიო კაშკაში

პასი, რომელმაც თვით ლიონელ მესის აგობა! რა თქმა უნდა, მხოლოდ სეზონის განმავლობაში საგოლე პასების რიცხვს ვგულისხმობთ. ევროპის საუკეთესო საფეხბურთო ლიგებიდან ასეთი მხოლოდ ერთია - ფრანგული „სოშოს“ 23 წლის პლეიმიდერი მარკინე მარტინი. მარტინის მონაგარი 19 საგოლე პასია, ერთი მეტი, ვიდრე მესის და კაიზერს-ლაუტერნელი კრისტიან ტიფერტის ანგარიშზე. კარგა ხანია, რაც მას ტექნიკას, მოედნის ხედვას და პასებს უქებენ. წლებულს მარტინმა საფრანგეთის ნაკრებშიც დაიმსახურა თამაში, ორჯერ მორიგო „ლელეს“ ფორმა და უკვე 2 გოლიც გაიტანა! მისი თიკუნი, არც მეტი, არც ნაკლები „პატარა ჩავი“. „პატარა ჩავი“ ლიგა 1-ის 4 ნომინანტს შორის იყო სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელის პრიზზე. გასულ სეზონში პასების „ასები“ ზემოთ ჩამოთვლილ ტრიოსთან ერთად იყვნენ: ფრანკ რიბერი, მესუთ იობი და ნანი. ცალკე გვინდა აღვნიშნოთ დანი ალვეის 15 საგოლე პასი - ის ხომ მცველია! ქვემოთ მოყვანილ სიაში კი მის გარდა კიდევ ერთი მცველია - მაიკონი. გოლი პლუს პასი სისტემით კრიშტიანო რონალდოსა და ლეო მესის ტოლსწორი არა ჰყავდა - პორტუგალიელმა 51 ქულა დააგროვა, არგენტინელმა - 49. მესამე ადგილზე გასული ანტონიო დი ნატალე მათ ძალიან ჩამორჩება (35 ქულა). თვალი შევავლით ე.წ. მეორე ემულენის ლიგების საუკეთესო მესამეებსაც. პოლანდიურ ერედივიზიში 17 საგოლე პასი გააკეთა „გრონიგენის“ სერბმა ნახევარმცველმა დეურანმა (35 ქულა). პოლანდელის საუკეთესო მესამეებსაც (აბერდინი) ანგარიშზე 10 პასია და ეს სკოტთა პრემიერლიგაში საუკეთესო მარცხენებელია. რუსულ პრემიერლიგაში (2010 წ.) 9 საგოლე პასი გააკეთა ვლადიმირ ბისტროვა.

Table with columns: Rank, Player Name, Team, Points. Lists top players from various countries in the tournament.

კალათბურთი. ახალი ამბავი

დუნიხ უილი სალაროსთან

„გოსტონ სელტიქსი“ სათანადოდ დააფასებს ლეგენდარული ბილ რასელის ღვაწლს კლუბის წარმატებებში...

კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა „სელტიქსის“ შემადგენლობაში 11-ჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული...

ისევ ლოკალური შესახებ. გაზეთმა Wall Street Journal-მა გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც

ვებგვერდმა NBA.com-მა 2010 წელს რეკლამის მეშვეობით დაახლოებით 22 მილიონი დოლარი გამოიმუშავა...

მანამდე კი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ყველა თავისებურად ერთობა. მაგალითად, „მია-მის“ ვარსკვლავმა დუნიხ უილიმ „ტიტანებზე“ ხუმრობით დაწერა...

საქმე ისაა, რომ პროფესიონალი კალათბურთელის კარიერის დაწყებამდე დუნიხი სწორედ ამ რესტორანში მუშაობდა. ამბობდა: „სალარო თავისუფალია“ და ილიმოდა...

ამასობაში, NBA-ის კიდევ ერთი ვარსკვლავი აპირებს პოკერში თავის გამოჩენას. „დალასის“ ფორვარდმა შონ მერიონმა ცოტა ხნის წინ განაცხადა...

ლას ვეგასში WSOP-ის (მსოფლიო პოკერის მთავარი სერია) ძირითადი ტურნირის მეორე დღისთვის პირსმა თავისი ბანკი 30 ათასიდან 62 ათას დოლარამდე გაზარდა.

უსაქმოდ ყოფნას არ აპირებს „დეტროიტის“ მცველი უილ ბინუმი - ის იმ მოთამაშეებს შეუერთდება, რომლებიც ვეროპაში თამაშს აპირებენ.

მცველის აგენტმა მარკ ბარტელსტაინმა Detroit News-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მის კლიენტს თელ-ავივის „მაკაბიში“ დაბრუნება სურს, სადაც 2006-08 წლებში თამაშობდა.

კვროლივა 2011/12 კალენდარი

Table with 4 columns (A, B, C, D) and 12 rows, listing tennis matches between various players like Kuznetsov, Zverev, etc.

როგორც

მიულოცეთ ფედერერს

შვიტარნიულამ გამოცემა „ბლიკმა“ გადაწყვიტა 30 წლის იუბილეზე ორიგინალური საჩუქარი გაუკეთოს ეროვნულ გმირს...

მკითხველები მოჰყვებიან, როგორ და რისთვის უყვართ როჯერი. გარდა ამისა, ნებადართულია ანეკდოტის ან რაიმე მხიარული ისტორიის გაგზავნა...

ცნობილია, რომ თავად სპორტსმენს უყვარს მსგავსი ექსპერიმენტები. მაგალითად, შარშან დაბადების დღე ტორონტოში აღნიშნა...

სხვათა შორის, თუ რომელიმე თქვენგანი 1981 წლის 8 აგვისტოს არის დაბადებული და კონკურსში მონაწილეობა სურს, შეუძლია თავისი ისტორია ამ მისამართზე გაგზავნა: gewinnen@ring.ch.

გვერდი მოაგზავნა გია თხალაბაიძის მიერ

TV პროგრამა

Table with 2 columns: Time and Program Name (e.g., 10:00 კოპა ამერიკა 2011, 12:00 კოპა ამერიკა 2011).

Table with 2 columns: Time and Program Name (e.g., 21:10 ფეხბურთი. სეზონის შეჯამება, 22:00 ჩემპიონის გზა).

Table with 2 columns: Time and Program Name (e.g., 13:00 ATP-ის ტური, 18:00 WTA-ის ტური).

სხალხო სპორტი

სხალხო სპორტი

ჩემპიონთა ლიგა

Table with 2 columns: Match Name and Score (e.g., აიუნგი-პლანინი 0:4, ვალბა-მარანასი 2:3).

ახალბეა მატჩები

Table with 2 columns: Match Name and Score (e.g., ბურსა-პიდილი 0:1, ინდოპონი-იუსპირი 0:2).

ახალი

Table with 2 columns: Match Name and Score (e.g., გლაუ ვინი-ჰარტბერგი 2:1, ლუბტინა-ლინდერი 1:1).

რუსეთი

Table with 2 columns: Match Name and Score (e.g., კაბა-მორდოვი 1:2, ვილანდი-ტამბა 1:2).

ATP. მსოფლიო

Table with 2 columns: Player Name and Score (e.g., დავიდენკო-შტეპე 6:3, 1:6, 4:6, კუბოტი-ბიშნოვ ტრავერო 7:6, 3:6, 6:2).

ATP. ბაზელი

Table with 2 columns: Player Name and Score (e.g., რიდერსტედ-მ. გონსალ. 6:4, 2:6, 6:2, ბენეტო-კაჩინი 4:6, 6:4, 5:7).

WTA. ბაზელი

Table with 2 columns: Player Name and Score (e.g., კ. ბონდარენკო-ლაგ. ვიევი 6:0, 6:4, კლაფენი-ვეტიმოვა 1:6, 0:6).

WTA. პარიზი

Table with 2 columns: Player Name and Score (e.g., ბეგუ-კამერინი 6:2, 7:5, მედინა გარიგესი-ფლორისი 6:3, 6:3).

